ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო

G E O R G I A

CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:**№97. 9723093001**

თარიღი:**03/04/2023**

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე N-05 სხდომის

ოქმი

დ. ლენტეხი 31/03/2023წ.

მიმდინარე წლის 31 იანვარს დღის 12 საათზე გაიმართა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა. სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა. სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 18 (თვრამეტი) წევრი. საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა საკრებულოს 3 (სამი)წევრი.

მოწვეული სტუმრებიდან სხდომას ესწრებოდნენ: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერი გია ონიანი, პირველადი სტრუქტურული ერთეულების - ადმინისტრაციის სამსახურის უფროსი სოზარ ბენდელიანი, არქიტექტურის და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ლევან ლიპარტელიანი, საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი, საკრებულოს აპარატის ხელმძღვანელი მაყვალა ჩანქსელიანი და დამხმარე სპეციალისტი ანა მუკბახიანი. გაზეთ ,,სვანეთის“ რედაქტორი ცოტნე მუსელიანი.

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. 2023 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

/მომხს. ს. ბენდელიანი/

1. ლენტეხის მუნიციპალიტეტში, კლიმატო-ბალნეოლოგიური კურორტი მუაშის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების თაობაზე“ - ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის წინადადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

/მომხს. ლ. ლიპარტელიანი/

2. ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს. ტ. ჩანქსელიანი/

დღის წესრიგთან დაკავშირებით შენისვნა არ ყო ფილა.

ღია კენჭისყრის შედეგით: მომხრე -18

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს; დამტკიცდეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. მოისმინეს:მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციის სამსახურის უფროსმა სოზარ ბენდელიანმა წარმოადგინა განკარგულების პროექტი - 2023 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

   მომხსენებელმა განმარტა, რომ მერის ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფები და ყველა სოფელში პროექტი შეირჩა კრების - მოსახლეობასთან შეხვედრის საფუძველზე.ამ პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართული როგორც მაჟორიტარი დეპუტატები, ასევე მერის წარმომადგენლები. სულ არის 60 სოფელი. ორ სოფელკს გამოეყო 12000ლარი დანარჩენს 10000ლარი.(მოსახლეობის მიხედვით).

2. **აზრი გამოთქვა**: სხდომის თავმჯდომარემ - გიორგი გაზდელიანმა. აღნიშნა რომ ის მონიტორინგს აწარმოებდა ამ პროცესზე და ეს შეხვედრები იყო აბსოლიტურად გამჭვირვალე და პროექტის შერჩევა ხდებოდა მოსახლეობის უმრავლესობის გადაწყვეტილებით.გათვალისწინებული იქნა მოსახლეობის აზრი ყველა სოფელში.

   შენიშვნა საკითხთან დაკავშირებით არ ყოფილა.

   ღია კენჭისყრის შედეგით მომხრე -18

   წინააღმდეგი -0

   გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი - 2023 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

   2.მოისმინეს: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო სამსახურის უფროსმა ტახუ ჩანქსელიანმა წარმოადგინა დადგენილების პროექტი - ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

   მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ადგილობრივ ბიუჯეტში სხვა შემოსულობები გავზარდეთ 49000 ლარით იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ იყო ძალიან რთული ზამთარი და ამ მუხლში გათვალისწინებული თანხა ვერ ეყო შესრულებულ თოვლისწმენდის სამუშაოებს.

   გიორგიმ აღნიშნა, რომ მომავალში ადგილობრივ ბიუჯეტში ამ მიმართულებით გათვალისწინებული იქნას მეტი თანხა. თუ არ დაგვჭირდება გადავიტანთ სხვა მუხლში.

   სხვა შენიშვნა საკითხთან დაკავშირებით არ ყოფილა.

   ღია კენჭისყრის შედეგით მომხრე -18

   წინააღმდეგი -0

   დაადგინეს: შევიდეს ცვლილება - ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N23 დადგენილებაში.

   მოისმინეს: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - არქიტექტურის და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა ლევან ლიპარტელიანმა წარმოადგინა განკარგულების პროექტი - ლენტეხის მუნიციპალიტეტში, კლიმატო-ბალნეოლოგიური კურორტი მუაშის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების თაობაზე“ - ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის წინადადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

   აღნიშნულ საკითხზე განმარტება გააკეთა მუნიციპალიტეტის მერმა - გია ონიანმა . მან აღნიშნა, რომ საკითხი გავლილია ადგილობრივ მოსახლეობასთან და მათი მხრიდან არ არის არანაირი წინააღმდეგობა, პირიქით გამოხატავენ კმაყოფილებას აღნიშნულ საკითხზე.იყო მხოლოდ გონივრული შეკითხვები მათი მხრიდან. მხარდაჭერა არის მთავრობიდანაც. დაიწყება ეკონომიკური კვლევა აღნიშნულ ტერიტორიაზე და ამ კვლევის ემდეგ დაიდება დასკვნა, გავეცნობით შესაბამის რეკომენდაციებს და ამის შემდეგ იქნება გენ. გეგმის გაკეთება.

   გიორგი გაზდელიანმა საკითხთან მიმართებაში აღნიშნა, რომ პირველ რიგში მუშა ჯგუფი შეხვდეს ადგილობრივ მოსახლეობას, დააზუსტოს საკითხი და ამის შემდეგ დაიწყოს მუშაობა.

   სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

   მომხრე - 18

   წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: მიეცეს თანხმობა მერს - ლენტეხის მუნიციპალიტეტში, კლიმატო-ბალნეოლოგიური კურორტი მუაშის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების თაობაზე“.

სხდომის ბოლოს საკრებულოს თავმჯდომარემ დააყენა საკითხი სააქტო დარბაზისთვის და საკრებულოსთვის სკამების შეძენის თაობაზე. დაავალა საფინანსო სამსახურს ამ საკითხის მოგვარება აპრილის თვის ბოლომდე.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის რიგგარეშე სხდომა დამთავრდა 13 საათსა და 30 წუთზე.

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი